პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ ოქტომბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25ე-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში არსებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.020.01.503) 99495,0 ლარის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული 73,70 კვ.მ. შენობა-ნაგებობის მონაცვლეობა სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ 05.21.28.005), იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრულ, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ შენობა-ნაგებობაზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება შენობა-ნაგებობის სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მონაცვლეობა.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს უძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული შენობა-ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული უძრავი ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს წერილი (#2279810, 17.09.2019წ.; #24504/25, 20.09.2019წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე პიაცას მშენებლობის დროს, მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე (სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს განმარტებით) განხორციელდა სატრანფორმატორო პუნქტის გადატანა/ადგილმონაცვლეობა კომპანიის კუთვნილი, #05.21.28.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან მოედნის მიმდებარე შენობის პირველ სართულზე, თუმცა უძრავი ქონების გაცვლა დღემდე არ მომხდარა. სატრანფორმატორო პუნქტის განთავსების ფართი #05.21.28.020.01.503 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მიერ მოთხოვნილი იქნა ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. #25ა-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 73,70 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.503) გაცვლა სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე 50,30 კვ.მ. შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 05.21.28.005).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 26 სექტემბრის #25/22485 წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ზემოაღნიშნული ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადასაცემად შესაბამისი პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით, შემდგომში სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მონაცვლეობის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 27 სექტემბერს წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის #2122/02 წერილი (# 25128/25), რომელშიც მოყვანილია ზემოთაღნიშნული გარემოებები, საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული მიმოწერები და აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში, შემდგომში სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მონაცვლეობის მიზნით და ითხოვს შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის #25ა-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.503).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული შენობა-ნაგებობის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში მისი სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში

რეგისტრირებული უძრავ ქონებასთან მონაცვლეობის მიზნით, იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. #25 ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ს/კ 05.21.28.005) დარეგისტრირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრული, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის #25"-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 73,70 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.503) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მონაცვლეობის მიზნით, იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. #25-ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში რეგისტრირებული 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.005) დარეგისტრირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრული, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ს/კ 05.21.28.005) დარეგისტრირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრული, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა. სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე

ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

ქალაქ ბათუმის მერს

ბატონ ლაშა კომახიძეს

სს ენერგო-პრო ჯორჯია
O.№ 2275870
17 05 2015
JSC ENERGO-PRO GEORGIA

ბატონო ლაშა,

მოგახსენებთ, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე პიაცას მშენებლობის დროს, მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, განხორციელდა სატრანსფორმატორო პუნქტის გადატანა/ადგილმონაცვლეობა კომპანიის კუთვნილი, №05.21.28.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან, მოედნის მიმდებარე შენობის პირველ სართულზე, თუმცა უძრავი ქონების გაცვლა დღემდე არ მომხდარა. სატრანსფორმატორო პუნქტის განთავსების ფართი რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში, №05.21.28.020.01/503 საკადასტრო კოდით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ზემოთხსენებული ფართების გაცვლის საკითხი, რომლის მიხედვითაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული №05.21.28.020.01/503 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება საკუთრებაში გადმოგვეცემა №05.21.28.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სანაცვლოდ.

დანართი: 4 ფურცლად.

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე

გენერალური დირექტორი

24504/25
20 09 19

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/22485
26/09/2019

22485-25-2-201909261722

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ასლი: სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს
(ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. #19)

ბატონო ჯაბა,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს წერილი (#2279810, 17.09.2019წ.; #24504/25, 20.09.2019წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე პიაცას მშენებლობის დროს, მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე (სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს განმარტებით) განხორციელდა სატრანფორმატორო პუნქტის გადატანა/ადგილმონაცვლეობა კომპანიის კუთვნილი, #05.21.28.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან მოედნის მიმდებარე შენობის პირველ სართულზე, თუმცა უძრავი ქონების გაცვლა დღემდე არ მომხდარა. სატრანფორმატორო პუნქტის განთავსების ფართი #05.21.28.020.01.503 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. კომპანია ითხოვს აღნიშნული უძრავი ქონებების გაცვლას.

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების გაცვლა, გთხოვთ განიხილოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში დასარეგისტრირებლად ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. #25ე-ში მდებარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 73,70 კვ.მ. ფართის (რომელშიც განთავსებულია სატრანფორმატორო პუნქტი) მოთხოვნის საკითხი, შემდგომში პირდაპირი ფორმით სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ზე განკარგვის მიზნით, იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. #25-ში მდებარე #05.21.28.005 საკადასტრო კოდით სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში რეგისტრირებული 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

6010. ლუკა ასათიანის ქ. N25. რეგ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25. Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

ამასთან, დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრულ, უძრავი ქონებების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს.

დანართი - ,,05" ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

№ 2122/02 "27" 09 2019

ქალაქ ბათუმი მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია თქვენი 2019 წლის 26 სექტემბრის N N25/22485 კორესპონდენცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე შენობა-ნაგებობებში არსებული 73,70 კვ.მ. ფართისა და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.21.28.020.01.503), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღრიცხვის თაობაზე. შემდგომში, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე 50.03 კვ.მ. შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ 05.21.28.005) მონაცვლეობის მიზნით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების მონაცვლეობა.

ამასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე შენობა-ნაგებობებში არსებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.020.01.503). შემდგომში, აღნიშნული ფართის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე 50.03 კვ.მ. შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს/კ 05.21.28.005) მონაცვლეობის მიზნით, იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ს/კ 05.21.28.005) დარეგისტრირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრული, უძრავი ქონებების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე შენობა-ნაგებობებში არსებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.020.01.503), შემდგომში, პოზიტიური პირობით განკარგვის მიზნით.

დანართი: „ 7 “ ფურცელზე.

პატივისცემით,

თორნიკე რიჟვაძე

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019671163 - 16/08/2019 14:48:41

მომზადების თარიღი
16/08/2019 16:18:21

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
ბათუმი	სექტორი 21			
05	**21**	**28**	**020**	**01/503**

მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა ფარნავაზ მეფე , N 25-ე

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:266.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **05.21.28.010;**
შენობა-ნაგებობები: **N 1**
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 570.00

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011375529 , თარიღი 03/08/2011 17:12:11
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/08/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა , N25-04/3732 , გაფორმების თარიღი:03/11/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- ნასყიდობის ხელშეკრულება , N100182365 , გაფორმების თარიღი:02/03/2010 ,ნოტარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა N25-04/2716 , დამოწმების თარიღი:02/08/2011 , ქალაქ ბათუმის მერია
- ხელშეკრულება სახელმწიფო ქონების ქ. ბათუმის თვითმმართველობისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ , N090571572 , გაფორმების თარიღი:29/09/2009 ,ნოტარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა , N25-04/3751 , გაფორმების თარიღი:04/11/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა , N25-04/3733 , გაფორმების თარიღი:03/11/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- ნასყიდობის ხელშეკრულება , N100585002 , გაფორმების თარიღი:16/06/2010 ,ნოტარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა , N25-04/1469 , გაფორმების თარიღი:17/02/2011 , ქ.ბათუმის მერია
- მომართვა , N25-04/3753 , გაფორმების თარიღი:04/11/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- ნასყიდობის ხელშეკრულება , N100190995 , გაფორმების თარიღი:04/03/2010 ,ნოტარიუსი ხ. კალანდარიშვილი
- მომართვა , N25-04/2578 , გაფორმების თარიღი:28/07/2010 , ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა, რეესტრის ნომერი N05-03/18421, დამოწმების თარიღი27/12/2010, ქალაქ ბათუმის მერია
- მომართვა , N25-04/3491 , გაფორმების თარიღი:15/10/2010 , ქ.ბათუმის მერია

მესაკუთრეები:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:245576826

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	**ფართი სართული1,ბლოკი "გ"**	73.70 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის